

# გეგეგე

№3-4 1935 წ. 6363

803 წელი





# ჩა ვაქეთი, ჩა ვშვრებოდით?

საქართველო  
საბჭოთაო

ერთხელ მე და მენშევიკი ერთ ადგილს შევიყარენით ჯერ, როგორც მოგვხსენებთ, მრავალჯერ „დავამთქნარევი“ მერე ვახსენეთ ძველი დრო, მასზე ცრემლები ღვარავით „ახ ნეტავ იმ დროს“, ფრთხილად ვთქვით, ოხერის და ნატერის ჩარევით.

მერე ვუთხარ:—მენშევიკო, ერთი მითხარ გეთაყვანე: რევილუტია რომ მოხდა, საქმე როგორ წაიყვანე? მაგალითად, აი, სანამ ბრძოლის ოფლით ვაგშრებოდით, მშრომელების სასიკეთოდ რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? მენშევიკმა გადიგრიხა უღვაშები ღერა-ღერად და კითხვაზე საპასუხო მურმანულად მომიღერა:

— რას ვშვრებოდით? ქე ვისხედით იმ დუმაში, როგორც იყო,



...ჩვენ და დაშნაკ-მუსავატმა ერთ-ერთი ვერ ავიტანეთ...

და ვშველოდით კერენსკის, რომ ომი ვაგრძელებულიყო. „მთლიან“ რუსეთს ვაგრძელებდით, რომ იგი არ დაშლილიყო.

— მერე როცა იმ კერენსკის, ჯაბუნაკი ამოუსვეს, და პანდურით ზურგის ქვემო-კუკუზნაკი ამოუწვეს, როცა პროლეტარიატის გაიმარჯვა დიქტატურამ და მონახა თვისი სორო რეაქციის ყველა ტურამ ერთის სიტყვით, როს ოქტომბრის აფრიალდა რუსეთს დროშა, როცა მთელი მშრომელთ კლასი შეხაროდა ახალ დროსა,

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? — რუსეთს გამოვეყავით და „სეიმობას“ ვთამაშობდით!

— მერე როცა ამ სეიმში ლელო ვედარ გავიტანეთ, ჩვენ და დაშნაკ-მუსავატმა ერთურთი ვერ ავიტანეთ, როცა პორთფელ მინისტრობის გაეღვიძა ყველას მადა, სუფრის თავზე წამოჯდომის ზრახვა ყველამ განაცხადა, როს სეიმიც ვაბითურდა, მისგან არრა გამოვიდა, და დამოუკიდებლობის მოდა ახლად შემოვიდა.

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? — ჩვენს კოპწია საქართველოს რესპუბლიკობით ვთვრებოდით!

— მერე, როცა რესპუბლიკა არვინ იცნო, არ იფიცა, საქმეები აიწეწა, ცხარე შფოთმა გაიღვიძა, როცა ჩვენს ბურჟუაზიას ისევ კალთას ვემთხვეოდით, თავადა და მემამულეს—სიყვარულით ვეხვეოდით, როცა გლეხი მიწას გვთხოვდა და მუშა კი—უფლებებსა, როცა ყველგან აჯანყებამ იფეთქა და შლიდა ფრთებსა,

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? — გვარდიით და ზარბაზნებით იმათ ყოფას ვუტირებდით!

— მერე, როცა ყოველმხრიდან კარი გვკონდა ჩაკეტილი. და ჩვენს მოძმე ერებშიაც შუღლი იყო დათესილი, როცა შიშველ შრომინიზმის ქვაბ-ქოთანაი ვადმოდულდა და ხმლებს ლესდენ მეზობლები: რევაზ, ქერბალაი, ბუღდანი.

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

— ყველგან ფრონტი გამოვაწყვეთ, ვაგრობოდით და გამოვრ-ბოდით!

— მერე როცა გარედანაც მოგვევლინა ბევრი ძიძა, როცა იმპერიალისტებს ჩვენი ტრფობა გაეღვიძათ; ვერმანია, იტალია, ფრანგები, თუ ინგლისელი. მოგვადგა და დასაპყრობად წამოგვიპოტინა ხელი რომ ჩვენს ქვეყნის მშრომელთათვის დაეღვათ მონის უღელი

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

— ყველას კარი გაუღეთ და—„მობრძანდიო“ ვუძახოდით!

— მერე, როცა იმათ ხელში სათამაშოდ გადვიქცეთ, თვითონ ვაგვიპარპაშდენ და ჩვენ უცქერდით-თვალის ბრეცით, როცა მათი ნება იყო: გვიბრძანებდენ ვასრულებდით, და ჩვენც იმათ სასიამო საბაბს მუდამ დავეძებდით

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

— ბოლშევიკებთან საომრად დენიკინს ვუთანხმდებოდით!

— მერე, როცა ცეცხლთან თამაშს დიდი მოჰყვა განსაცდელი, როცა ხალხი აზვავდა და დროც არ მოგვცა დასაცდელი. და თებერვლის ოცდახუთში გვიცხუნეს და შეგვაფიცხეს, როცა ჩვენმა გვარდიებმა ვერ გაუძლეს ბრძოლის სიცხეს

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

— ბათომამდე ვირბინეთ და იქ სხვის გემებში ვსხდებოდით!

— მერე, როცა იმ გემებით უცხო ქვეყნებს მივადექით, საჩივარი მოგახსენეთ ბუზღუნით და ქეროს ქექვით. და იმ იმპერიალისტებს სამსახურში დავუღვექით, როცა არვინ შეგვისრულა რაც ვეხვეწით მუხლმოდრეკით, აქ კი, ამ ბოლშევიკებმა, ყველა მშრომელთ დახმარებით უდიდესი მშენებლობა გააჩაღეს ზღვა ტემპებით

— რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

— ეგ, შეკაცო, შენც ქე იცი—დღითი დღე რომ ვიხრწნებო-დით!



..ყველას კარი გაუღეთ და „მობრძანდიო!“— ვუძახოდით..

— მერე, როცა ამ გახრწნაში თოთხმეტ წელმა გაიარა, საქართველომ კი ბრწყინვალე მწვერვალები აიარა, განახლდა და გამარჯვების ზეიმს მართავს სიხარულით, და ჩვენ კი მკრთალ აჩრდილივით რომ დავდივართ გარიყული

— რატომ მოხდა?—ამიხსენი?

აქ განრისხდა მენშევიკი, მას აეწევა კულის რიკი, მომიღერა ბრაზით ბლიკვი, და მომიძახა:

— დამწვარზე მდულარს ნუ მისხამ, „პაქაოუსტა“ დამეხსენი! ფარსადანი



შაიძე

— ეს ყინული პირდაპირ ზინოვიევი-ტროცკისტულ პლატფორმას მომაგონებს: ზედ ფეხი ისე მიცურდება, ლამის უფსკრულში გადამჩეხოს..

## წითელი მსოფლიო ჩემპიონი

ეს იყო 14 წლის წინად...  
საჭადრაკო საათი ამუშავდა.  
შავების ბანაკში დიდი არეგ დარევა მოხდა. შავი მაესტროს შავი პაიკების მეტი ნაწილი გაწითლდა; შავი პაიკები მობრუნდნენ პირით შავი მეფისაკენ და მოიმარჯვეს ფარხმალი. შეპკრთალმა შავმა მეფემ დაძრა თავისი მხედარი „მძიმე ჯვართი“ თავისივე უკვე გაწითლებული პაიკების წინააღმდეგ. წითელი მაესტრო მშვიდად შეპყურებს მომავალს მოწინააღმდეგეების გაწითლებული პაიკების იმედით და მზად არის, თუ წითელი პაიკები დაინახავენ საჭიროდ მის ჩარევას დაძრას ადგილიდან თავისი ძალები.

ამუშავდნენ შავების ზარბაზნები (ეტლები) თავისივე პაიკების წინააღმდეგ. პაიკები არ შედრკენ და უშიშრად განაგრძობდნენ ბრძოლას შავი მეფის ფლანგზე. შავებმა გამოიყვანეს შავი ლაზიერიც და ოფიცრები. წითელი მაესტრო ხედავს, რომ ბრძოლა უთანასწოროა მარტო გაწითლებული პაიკები ვერ გაუმკლავდებიან შავების მიერ ბრძოლაში გამოყვანილ

ყველა სასიცოცხლო ძალებს. წითელმა მაესტრომ დაძრა მხედარი, რომელმაც მოწინააღმდეგის ბანაკში მომქმედ წითელ პაიკებს დიდი სიმხნევე შემატა. შავები მეორე დაფისაკენ იყურებიან და ცდილობენ მეზობლად გაშლილ დაფიდან ქურდულად გადმოსხან შავი ფიგურები, მაგრამ აქ შავი მაესტრო ვარდება ცეიტნოჟში (დროს დაკარგვა). წითელ მაესტროს ორივე წითელი მხედარი და ორივე ეტლი მოწინააღმდეგის ბანაკში შეუერთდა ამხედრებულ წითელ პაიკებს და დაინთო ცეცხლი შავების წინააღმდეგ.

გზა შეკრულია. შავი მეფე დარჩა მარტო ოფიცრების ამარა. მათი საშუალებით ცდილობს მოახდინოს ორგანიზაციული უკან დახევა; აბა რა აზრი აქვს ბრძოლას მარტო ოფიცრებით, გაწვრთნილი უთვალავი წითლების წინააღმდეგ, რომლითაც არცერთი მნიშვნელოვანი ფიგურა არ დაუკარგავს ბრძოლაში და ლომივით ყველა მხრიდან აწვეებიან თითებზე ჩამოსათვლელ დამფრთხალ ოფიცრებს.

შავი მეფე უკან იხევს ოფიცრების საშუალებით, მაგრამ უკან დასახევი აღარ არის დაფა გათავდა.

და აქ ხდება საჭადრაკო ისტორიაში გაუგონარი, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში, სამოქალაქო ომში ხშირი მოვლენა. შავი მეფე ოფიცრებით სრულიად სტოვებს თავის დაფას და მისცურავს შავი ზღვითვე.

საჭადრაკო დაფაზე წითლები იხდიან ზეიმს. ეს მოხდა ამ 14 წლის წინ. მას შემდეგ დაფაზე აღარ გატყაპნებულა არც ერთი შავი ფიგურა. თუ რომელიმე შავთაგანი წამოპყოფდა თავს—წითელი მაესტრო უმალვე დაფაში ჩაურაჩქუნებდა მას ისე, რომ დაფაზე ფეხის მოკიდებდასაც ვერ ასწრებდა.

ვინ არის ეს წითელი მაესტრო? იგი წითელი მსოფლიო ჩემპიონია. მისი სამოქმედო დაფა მსოფლიოა; მისი სახელია ოქტომბერი.

გაუმარჯოს წითელ მაესტროს, გაუმარჯოს მსოფლიო ჩემპიონს,— გაისმის დღეს მსოფლიო დაფის ყოველი უჯრედიდან.



# მუხრანის ხიდი

## ვოსტა-ტელეგრაფი

საქართველოს  
გაზეთთა კავშირი

# ორი ზანდიოსანი

— მეტად გაბედული და გულმაგარი კაცი ვარ. ვერის ხილზე ისე გავალ და გამოვალ, რომ წუთითაც არ შევყოყმანდები! — მითხრა ამ რამოდენიმე დღის წინად ერთმა ჩემმა ნაცნობთაგანმა — ეგ რა არის: ხანდახან მუხრანის ხილზედაც კი გამივლია. გამივლია და განა მარტო ფეხით?! ტრამვაითაც კი გამივლია.

— დიდი ამბავი! — ირონიულად ჩაფურთო მე.

— იცი რა არის მუხრანის ხიდი? იქნებ ვისაც ტფილისი არ უნახავს მუხრანის ხიდი მას ფოსტა ტელეგრაფი ჰგონია!

— რას ამბობ, როგორ შეიძლება მუხრანის ხიდის და ფოსტა-ტელეგრაფის შედარება?

— მეც სწორედ მაგას ვამბობ, რომ არ შეიძლება. მუხრანის ხიდს ცალი ფეხიც რომ დაადგა მაშინვე ამოძრავდება, ფოსტა-ტელეგრაფს კი კრუპის ქარხნის ყუმბარებიც რომ დააყარო, მაშინაც კი ყურს არ შეიბერტყამს, მე კი პირადად — ისეთი გაბედული და თავზე ხელ-აღებული კაცი ვარ, რომ ჟურნალ-გაზეთებსაც კი ვიწერ ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით! ვიწერ და ჩემი მარცხიც სწორედ აქედან იწყება. ალბათ ეს პატივცემული დაწესებულება ვერ იტანს ჩემს ასეთ კადნიერებას და უნდა ქელი მომხარევეინოს, მეგრძვის „კრიჭაში მიდვას“ და მისი ნაცადი მოქმედებით უნდა არა თუ ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე, საერთოთ ბეჭვდით სიტყვაზე ხელი ამოვებინოს.

— ფაქტები, ამხანაგო!


— იი ფაქტები! — და დაიწყო.

### ზაქტი პირველი:

— ამას წინად გამოვიწერე მოსკოვიდან ჟურნალი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ („Литературное наследство“) გადის დრო. უღარდელად ძინავთ ჩემგან გადახდილ ფულებს. ძინავთ ჩემს ფულებს, მე კი არ მძინავს. ველი ჟურნალს, არსად სჩანს. ერთ დღეს გამთენიას ჩვენს ეზოში ყრიაშული ატყდა. ყველამ გაიღვიძა. ვილაც უცნობი მოქალაქე ჩემს გვარს, რომელიც ხუთი მარცვლისაგან შესდგება, ისე გაჰყვიროდა თითქოს თითოეულ სიტყვის გამოთქმაზე ჩვენს ყურთან ხუთი ყუმბარა სკდებოდა. ხმაურობამ გააღვიძა ჩვენი სახლის ზედა სართულიც, სადაც ჩემი ბიძაა. ჩემი ცოლი დერეფანში გავიდა. მის გასვლისთანავე ხმაურობა მიწყდა.

— რა ამბავია? — შევეკითხე დაბრუნებისთანავე, ისე, რომ თვალი არ გამიხელია.

— არაფერი. „სასამართლო მოდის!“



— სასამართლო მოდის!..

სად არის სასამართლო? — გაფითრებული შევეკითხე მე.

— გამოფხიზლდი, კაცო, სასამართლოს აქ რა უნდა! მოსკოვიდან მოგვივიდა ჟურნალი „სასამართლო მოდის“. შენ თვითონ გამოგიწერია და აღარ გახსოვს?!

— დავილუპე! თავი მომეჭრა! ალბად ვინმემ რამე შარი მომდვა და მასამართლებენ! ადგილზე მასამართლებენ. — გავიფიქრე მე და შეშინებულმა თვალი გავახილე.

ჩემს ცოლს ხელში ჟურნალი ეჭირა და ათვალეირებდა.

— რა საქმეზე...

— ხატი, რჯული ასეთი ჟურნალი არასოდეს არ გამომიწერია! — ვუპასუხე მე და ხმა ჩავიკმინდე.

მე ხმა ჩავიკმინდე, მაგრამ ვინ იცის, — იქნებ ამ ჟურნალის ხელის მომწერი მისგან შევევით ჟურნალის ნაცვლად ჩემს „ლიტერატურულ მემკვიდრეობას“ ვებულობს. ალბად! გაბრაზებულს ავიწყდება სისხლის სამართლის კანონის სტატიები, მუხლები და პუნქტები, რომლებშიც გათვალისწინებულია სასჯელი პირად „შეურაცხყოფისათვის“ და თავშეუკავებლად „უკურთხებს“ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებას.



„მეანობის საქმეს“ ვღებულობ.

ლაქებზე ნაკლებ დღეში არც მე ვიმყოფები. სანიმუშოდ კიდევ ერთ შემთხვევას დავასახელებ:

### ზაქტი მეორე:

— მომავალი წლისათვის „ლიტერატურული გაზეთის“ ნაცვლად „ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელი“ გამოვიწერე! — მითხრა ამასწინად ამხანაგმა.

— რატომ, განა აღარ გიზიდავს ლიტერატურის საკითხები?

— არა, ამხანაგო: აქამდე „სალიტერატურო გაზეთს“ ვიწერდი და „ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელი“ მომიღოდა, აწი კი „ფიზკულტურელს“ გამოვიწერ და იქნებ მის ნაცვლად „ლიტერატურული გაზეთი“ მივიღო.

არ მინდა ამხანაგო ყველა ჩემი გასაჭირი გავამხილო, რადგან ჩემი ამბავი გადაჭარბებული თავის ქებით დავიწყე, თორემ იმ მოქალაქეზე ნაკლებ დღეში არც მე ვიმყოფები. სანიმუშოდ კიდევ ერთ შემთხვევას დავასახელებ:

### ზაქტი მესამე:

ორი წელიწადია „კომუნისტ“-ს ვიწერ და იმის მაგივრად ჟურნალ „მეანობის საქმეს“ (Акушерское дело) ვღებულობ.

„ფოსტა - ტელეგრაფის“ მიერ მოწყობილ ასეთი ოინის წყალობით ამას წინად ორი ფეხმძიმე მანდილოსანი მომადგა კარზე, ჩემგან, „როგორც ცნობილ და გამოცდილ მეანისაგან,“ რჩევა-დარიგების მისაღებად.

— ექიმი ვინ ბრძანდება?

— იკითხეს მათ. პასუხისათვის აღარ მოუცდიათ: პირდაპირ შემოვიდნ ჩემს კაბინეტში და როდესაც პირველ მათგანს ვარწმუნებდი, რომ მათ მისამართი შეეშალათ, მეორე უკვე ტანსაცმელის გახდას შეუღდა.

რაც იყო იყო, მაგრამ მომავალში მე ვეღარ ავიტან ასეთ დამცირებას.



...პირდაპირ შემოვიდნ...



იაპონური დიპლომატი (გერმანელს):

— ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ თქვენ დაგიბრუნოთ ახალშენები... იტალიამ.



იტალიელი დიპლომატი:

— ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ თქვენ დაგიბრუნოთ ახალშენები... იაპონიამ.

## გაპარსული მპარსველი

როცა ექვთიმემ სალაროს გადახედა, დარწმუნდა, რომ ხუთი წლის ნამუშევარს ტყვილად არ ჩაეგლო და ოცდაათი ათასი მანეთი შემოხარჯოდა.

ეს ამბავი საკმაოდ მოზრდილ კონფლიქტს ქმნიდა სახელმწიფოსთან და, ვინაიდან კომფლიქტს გაურბოდა, გადაწყვიტა ათი-ათასი „ესესებინა“ და მიმალულიყო...

ორი თვის შემდეგ სტამბოლში სამსუნიდან ჩამოსულ იალქნიან ნავიდან ექვთიმე ნაპირზე გადმოვიდა და დიდ ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა კიდევ ერთი აღამიანით გაადიდა. ჩემოდნით ხელში—ექვთიმე, რომლის ზურგს კარგათ მოზრდილი თოპრაკი კუზივით მიკვროდა, ნავთსადგურის ნაპირს გადაყვა და პირველსავე ქუჩისაკენ შეუხვია.

უღრუბლო ცაზე მზე ეკიდა და თავის გზას განაგრძობდა. ექვთიმე კი ზანტად მიიბიჯებდა. ქუჩის ბოლოში ეტლები ჩამწყრივებულნი იყვნენ. მეეტლები კოფოზე ფარაონებივით ისხდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. იქვე ფარნის ბოძთან ვიღაც იღვა და თუთუნს ქალღმერთის ახვევდა. ექვთიმეს მხერაც ამ კაცის სახემ დაიჭირა. მას ახლობელი ნაცნობის გამომეტყველება ქონდა. კარგად დაუკვირდა და იცნო. იგი იყო თავისი ყოფილი უფროსი, სამინისტრის დეპარტამენტის დირექტორი, კანცელარიის ბოროტი გენია!

ერთ დროს, ამ კაცის დანახვა შიშის ზარს გვრიდა და, თუმცა ახლაც შიშის მაგვარმა განცდამ გულში ცივ ნაკადივით დაუარა, მაგრამ მაინც გადასწყვიტა მასთან მისულიყო და ნაცნობობა განეახლებინა: მით უმეტეს,

რომ უცხო ქალაქში იყო და ნაცნობ თანამემამულის პონა დიდ ბედნიერებად მიაჩნდა.

ექვთიმე ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა, უცნობს წინ დაუდგა და მოწიწებით კითხა:

— ბატონო იპოლიტე, მიცანით?

უცნობმა თავი ასწია, ექვთიმეს იჭვიანათ შეხედა, მაგრამ რაკი ჩამოდანი და თოფრაკი დაინახა, სახეზე ღიმილი მოერია და მხიარულად წამოიძახა:

— საიდან... როდის!—პასუხისათვის აღარ დაუცდია, მყისვე ექვთიმეს ჩემოდანი გამოსტაცა, ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და რამდენჯერმე გადაკოცნა.

ყოფილი უფროსის ასეთმა მოპყრობამ ექვთიმეს გული აუჩუყა და მზად იყო საკუთარ თავდასადავალს მოყოლოდა, რომ ამ დროს, უცბად, იქვე მდგომი ეტლი დაიძრა და დეპარტამენტის დირექტორი ეტლს სირბილით უკან გამოუდგა.

როცა ექვთიმემ ეტლს ადევნებელი დირექტორი დაინახა, ბევრი აღარ უფიქრია და თვითონაც დირექტორს აედევნა.

ექვთიმემ არ იცოდა, რომ მისი ყოფილი დირექტორი ეტლიდან გადმოსულ მგზავრების ბარგის გადატანით ცხოვრობდა—შესაძლებელია „ეკს დირექტორის“ კოცნაზე გული არ აჩუყებოდა და მასთან გაცნობასაც ფრთხილად მოპყრობოდა, მაგრამ, ვინაიდან ექვთიმე მხოლოდ ქურდი იყო, პოლიტიკას დაშორებული, ამიტომ უცოდვრლ ბატკანივით თავის ყოფილ უფროსს უკან აედევნა და როცა ეტლი ალაყაფის კარებში შევიდა და ეს კარები დირექტორს ცხვირწინ შეუხურეს, გასავათებული ექვთიმე ძუნძულით მიიჭრა იპოლიტესთან და გაოცებით დაუწყო ცქერა.

„დირექტორმა“ ალაყაფის კარებს ფეხი კრა, შემდეგ მადიანათ შეიგინა და, რომ ამ უჩვეულო სირბილის მიზნის გამოკითხვა თავიდან აეცილებინა, ექვთიმეს რაღაც საუბარი გაუბა და გულუბრიველო ქურდთან ერთად ბინისკენ გასწია..

ვინაიდან გვიანი იყო, ამიტომ „ეკს-დირექტორის“ ყველა მგზობლები სახლში აღმოჩნდნენ. — აი, კიდევ ერთი მსხვერპლი. ბოლშევიკებისა!—მისვლის უმაღლვე დაიწყო ეკს-დირექტორმა.

— რა მდგი მარეობაში ჩააყენეს ხალხი ამ ტევტონებმა! ვათქმევინოთ, ბატონებო, თუ რა იობისებური ტანჯვა განიცადა ამ კაცმა!

ექვთიმეს ყველანი გაეცენენ ირგვლივ შემოესიენ და გულდასმით უსმენდნენ. ქურდის მიერ ნაამბობ ჭორებს და გინებას როცა ამით გული იჯერეს, ტანტზე ჩამოსხდნენ და ჩაჩუმდნენ მყუდროება ისევ „ეკს-დირექტორმა“ და არღვია.

— სადილის დროს ბიჭებო!—შემდეგ ექვთიმეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლად ჩამოსული ხარ, ალბად გექნება რამე, ხომ იცი მთავრობა საფრანგეთშია და ჯამაგირებს აგვიანდებ!

ექვთიმემ თოპრაკს თავი მოხსნა და მაგიდაზე ხიზილალა, კარაქი, ყველი და ძეხვები დაალაგა. მგლის მადის მქონე ძმა-ბიჭები წამოიშალენ.

— შენ აღარც ხუშრობ ექვთიმე! — ტუჩების წლაკუნით წარმოთქვა კუთხეში მყოფმა ქალარა წვერიანმა კაცმა, რომელიც ექვთიმეს გააცნეს, როგორც „დემოკრატიის ერთგული დარაჯი“.

— ცოდვა კი არის ასეთი მეფური სუფრა უღვინოდ! — წამოიძახა „ექს-დირექტორმა“. სხვებმაც დაუდასტურეს. ექვთიმემ ჯიბეს ამოკერილი თავი გაურღვია და ათლირიანი გამოაძრო რითაც წუთშივე გაჩნდა ღვინო და პურიც. მამულიშვილებმა უსიტყვოდ დაუწყეს სანოვაგეს განადგურება და, როცა ჭამით გული იჯერეს, საღვებრძელოები გააჩაღეს. ექვთიმეს ჩქარა მოეკიდა ღვინო და დამთვრალადამიანების ჩვეულების თანახმად იქვე მოყვა თავის თავგადასავალს. აქ იყო მთაწმინდაზე გატარებული ღამეები „არტოში“ თავაწყვეტილი ქეიფი, კოჯრის გზა და რესტორანი „ვერდენი“, თეთრი ღუქანი და ფანტაზია, ორთაქალა და ჩოკურაშვილი.

ღვინისაგან მოთენთილი მამულიშვილები შერიანი თვალებით მისჩერებოდნენ ექვთიმეს და ნატრობდნენ იმ დროს, როცა სამშობლოდან გასაცემული დოვლათით აღვსილნი სტამბოლის რესტორანებს და ყავახანებს იკლენდნენ თავადური ქეიფით.

როცა ექვთიმეს გაეღვიძა, ყველანი ამდგარი დახვდა. ზოგიერთები მაგიდას შემოსხდნოდნენ და ვახშობდნენ მორჩენილ სანოვაგეზე ნადირობდნენ. ექვთიმე ფიცხლად წამოდგა, ტა-

ნისაშობი ჩიცვა და ჩვეულისაებრ ხელი გულისჯიბისაკენ წაიღო..

გულისჯიბე ცარიელი დახვდა.

— სად მოგბარეს შე უბედურო?.

— ალბად გემზედ ამოგაცილეს ჯიბიდან, — ემიგრანტები სულ გაბოსიაცდნენ. — გულგრილად შენიშნა დემოკრატიის ერთგულმა დარაჯმა, როცა „ფულის დაკარგვის ამბავი გაციგო“.

— არა იქ არ დამკარგვია. წუხელი მქონდა, თქვენ თვითონ ნახეთ ღვინისთვის რომ ფული მოგეცით!

— რავა! გაბრაზებით წარმოსთქვა დემოკრატიის ერთგულმა დარაჯმა, ექვთიმესთან მიიჭრა და თვალების ბრიალით უთხრა:

— შენ რომ ქურდობ, იქნება სხვებიც ქურდები გგონია! — შენ!.. იცი ვისთან გაქვს საქმე?

— არა, მე თქვენ არ გაბრალით ქურდობას! ხმის კანკალით წარმოსთქვა ექვთიმემ, — მხოლოდ ფული წუხელის რომ მქონდა, ეს ვიცი.

— მაშ ჩვენ ვყოფილვართ ქურდი?! — გამიშვით მაგისი ღედა... — და შეურაცხყოფილმა „დემოკრატიის ერთგულმა დარაჯმა“ და, თუმცა არავინ აკავებდა, მაინც მაგიდისაკენ დაიხია. ყველანი მიხვდნენ დემოკრატიის ერთგული დარაჯის ოინბაზობას. დემოკრატიის ერთგულმა დარაჯმა, რაკი სანდო ხელებში იგრძნო თავი, გულისწყრომას უფრო უმატა და ექვთი-

მეს საცემლადაც კი გაიწია. შემინებული ექვთიმე კუთხეში ატუზული გაფითრებული შესცქეროდა მის საცემრად ამართულ ხელებს. ბოლოს როგორც იქნა „შეურაცხყოფილმა“ და აშოშმინეს. ექვთიმესთან შეარიგეს, მაგიდას შემოესიენ და ყბები აამუშავეს!

— აი რა, — დაიწყო „დემოკრატიის ერთგულმა დარაჯმა“, — ქართველი კაცი ხარ და მეცოდები. გუშინწინ კომიტეტიდან ფული მივიღე, ცოტაოდნენ დახმარებას მოგცემ და ამ სიტყვებთან ერთად ექვთიმეს ათ ლირიანი გაუწოდა.

საღამოზე დაბრუნებულმა ექვთიმემ შენიშნა, რომ თოპრაკი და ჩემოდანი აღარსად სჩანდა, მაგრამ დილის ამბავი რომ გაახსენდა, უმაღვე ჩაჩუმდა და ნაცემ ძალღვივით მიეგდო დასაძინებლად. დილით ექვთიმე ქუჩაში ატეხილმა ხმაურმა გამოადვიძა, შენიშნა. პალტო აღარსად სჩანდა. ეს კი მეტის მეტი იყო. აშკარად სჩანდა დახელოვნებულ მძარცველთა ბინაში იყო მოხვედრილი. გაჯავრებულმა ზიზლით მიაფურთხა მძინარე „ექს-დირექტორს“, დემოკრატიის ერთგულ დარაჯის გახუნებული პალტო აიღო და სასწრაფოდ ქუჩაში გავიდა.

ექვთიმე კრულვით იხსენიებდა იმ წუთებს, როდესაც ძან საბჭოთა საქართველოდან უცხოეთში გაპარვა განიზრახა.

ზარლი

ახსოვს გეგიჭოს.

ნახ. ღონის



— ბებო, აქი მპირდებოდი სულ მალე წინდებს ჩავაბარებო?  
 — მენშევიკებიც ბევრ რამეს პირდებოდნენ შვილო ქვეყანას მაგრამ..



# ქურდი



ილუსტრაცია გ. ისაევის.

ქურდებმა გარშემო მიმოიხედეს. ქუჩაში არავინ იყო, ბნელოდა. მოშორებით ყვითლად ბეჭეტავდა მაღალ ბოძებზე ჩამოკიდებული ელნათური. მკრთალ ვარსკვლავს ვაგდა. ბოძის ნახევარს ანათებდა, — მეტს არაფერს.

— ხელსაყრელი დროა! — წასჩურჩულა ერთმა ქურდმა მეორეს. —

მეგობრის დახმარებით სანდრო მარლათ აცოცდა პირველ სართულზე, კედელზე დიდი კაქუჭა ლურსმანი მოსძებნა ბაწარი გამოაბა და ჩამოუგდო ქვაფენილზე მდგარ ამხანაგს. ესეც უცბად ავიდა და შემდეგ ერთმანეთის დახმარებით მალე მიაღწიეს მეორე სართულზე იმ ადგილს, სადაც ფანჯარა ღია იყო.

ფანჯარასთან ორივენი ერთხანს გარინდებული იყვნენ.

— ხედავ? — ჩუმად კითხა სანდრომ მეგობარს.

პირველ ოთახში ბნელოდა. მეორეში, სადაც სინათლე იყო, ნერვიულად დადიოდა ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული ქალი. შელოტი, გამხდარი მამაკაცი, რომელიც ქალის ქმარი უნდა ყოფილიყო, მაგიდაზე დაყრილ ქალღალღებში რალაცას ეძებდა.

— არ მოდიხარ? — გაბრაზებით შეეკითხა ქალი ქმარს.

— რა მეთეატრება, ადამიანო! — ხელი ჩააქნია სასოწარკვეთით მამაკაცმა — მე ჩემი გასაქირი შეყოფა!

— მაშ იხევე ფუჭდება აბონემენტი! — გაბრაზებით წამოიძახა ქალმა.

— სულელი! — შეუღრინა ქმარმა — რა დროს აბონემენტზე დარდია, როცა ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია! გაიგე, რევიზია მაქვს ამ საღამოს.. ათი-ათასი დამაკლდა.. ეს ფული ხომ შენზე მაქვს დახარჯული? შენს ტანსაცმელზე, შენს კურორტებზე..

ამის გაგონებაზე ქურდებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გესმის? — გაუღიმა სანდრომ დიტოს — ათი-ათასი! აბა, მითხარ, რითაა ეს მოქალაქე ჩვენზე, ჩვეულებრივ ქურდებზე, უფრო პატიოსანი?

— უარესიცაა! — დაუდასტურა დიტომ. ქმარმა დახვია ხელი მაგიდაზე დაყრილ ქალღალღებს, ჩასტენა პორტფელში და ისე საჩქაროდ გავიდა ოთახიდან, რომ მაგიდის ქვეშ ჩავარდნილი ორი ფურცელი არც შეუმჩნევია.

მარტო დარჩენილი ქალი გულმოსული დაეშვა სავარძელზე, მაგრამ მალე ისევ წამოდგა, დაიხურა ქუდი და გავიდა.

— დროა! — წასჩურჩულა სანდრომ მეგობარს. — რა წამს ქალმა ოთახის კარი გარედან დააკეტა, ქურდები ფანჯრიდან ოთახში შეიპარნენ.

## II

ქალმა ის-იყო ზედა-სართულის კიბე ჩაათავა, როცა დაინახა რომ ქვევიდან ამოდინოდა ტანდაბალი, მსუქანი მამაკაცი. შეხედა და იცნო ტრესტის დირექტორი.

დირექტორი ქმინავდა და ხშირად ისვენებდა. სჩანდა, რომ უჭირდა მძიმე ტანის ამოთრევა.

— კოტე! — ხალისით მიეგება ქალი — ჩემთან მოდიოდი? ერთი წუთით გვიან რომ მოსულიყავ, ვეღარ მნახავდი.. თეატრში ვაპირებ... დღეს ჩემი აბონემენტი!

— თავი დაანებე ქეთინო, რა დროს თეატრია! ასეთ ხელსაყრელ დროს ვინ იცის როდის ენახავთ.. მე დავინახე შენი ქმარი, რა სიჩქარით მიდიოდა სადღაც.. თანაც დაფიქრებული იყო.. ეტყობოდა, ერთობ საშუარი საქმე ჰქონდა... ჩემო არეთ — მიუაღერსა კოტემ.

## III

ქურდებმა უჯრებში რალაცანიეები იპოვეს და მათ ამოლაგებას აპირებდნენ, როცა უეცრად გაიგონეს, რომ დერეფანში კარი გაიღო.

— თავს უშველე, დაიმალე! — ყრუთ წასძახა ერთმა მეორეს.

დარეტიანებულმა ქურდებმა აღარ იცოდნენ სად დამალულიყვნენ. ხან რას ეცნენ, ხან რას.

დერეფნიდან კი ფეხის ხმა ახლოვდებოდა. შეშინებულმა ურდებმა, რომლებსაც გასაქცევი დრო აღარ დარჩათ, ოთახში დამალვა აირჩიეს.



კოტემ დრო იხელთა...

— აი იქ! — ანიშნა სანდრომ ამხანაგს მეორე ოთახის კართან ჩამოკიდებულ პორტიერაზე და თვითონ კი ნოხგადაფარებულ ტახტის ქვეშ შეძვრა.

მოასწრეს თუ არა მათ დამალვა, ოთახში ქეთინო და კოტე შემოვიდნენ.

ტრესტის დირექტორი ოთახში შესვლისთანავე ხალისიან გუნებაზე დადგა. ქუდი მარლათ დააგდო კუთხეში, სკამზე, ამოიღო პორტსიგარი, პაპიროსი გააბოლა და ქალის გვერდით სავარძელში ჩაჯდა.

— რა ლამაზია! ხელში აათამაშა ქალმა პორტსიგარი!

— მოგარაყებულ ვერცხლი ვახლავთ! ეს ძვირფასი შენი თვალბევივით ლამაზია! — აწონებდა კოტე. — რა დემართა ისეთი შენს ქმარს? ისეთი მიაბიჯებდა, თითქო მთელი ქვეყნის მწუხარებას თან მიათრევდა!

— რევიზია აქვს.. — ამოიოხრა ქალმა — მისაყვედურა, ათი-ათასი დამეხარჯა შენზე!

დირექტორმა გულიანად გაიცინა.

— ათი-ათასი? მაგისტვის იკლავს ასე თავსუ ათი-ათასი! მე მეგონა, რალაც უბედურება ეწვია გახსოვს ეს ზაფხული? მარტო შენზე დამეხარჯა იქ ოცი ათასამდე!

ქურდებს მათი ლაპარაკი გარკვევით ესმოდათ. უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე სანდრომ ძლივს შეიმავრა თავი — უნდოდა გამოსულიყო ტახტქვეშინდან და სცემოდა ამ უცნობ მამაკაცს, რომელიც ასე უღარდელად ლაპარაკობდა ათასების გაფლანგვაზე.

კოტემ იხელთა დრო, როცა ქალმა წუთით თავი დახარა და ხელები მოხვია. მაგრამ ქეთინომ უცბად მოიშორია ხელები და მწყურალად შეხედა.

— რატომ ასე მწყურალად? — გაკვირვებით შეხედა დირექტორმა — მე რომ მაგას არა ვარ შენგან ჩვეული?

— დღეს მაგისი გონება არა მაქვს! — ცივად მიუგო ქეთინომ. მაგრამ უეცრად მოლბა, თითონვე მოხვია ხელი მამაკაცის მსხილ კისერს და ცბიერი ღიმილით კითხა:

— შენ ხომ მრავალჯერ გითქვამს, რომ ჩემთვის არაფერს დაიშურებ?

— რა თქმა უნდა! — გახალისდა კოტე.

— მაშ ეს სიკეთე მიყავ: მომეცი ფული ვიხსნა ქმარი გასაქირისაგან!

დირექტორს ამის გაგონება მაინცდამაინც არ ესია მოვნა.

— ეხლა... ეხლა საიდან მოცე? ასე უცბად.. ასე მოულოდნელად ამდენი თანხა.. მე თან მხოლოდ რალაც ხუთასი თუ რვაასი მანეთი მაქვს... მეტი არაფერი..

## IV

ქალისათვის რომ გუნება არ გაეფუჭებია და აქ მოსვლასაც რომ უქმად არ ჩაეგლო კოტე დაპირდა ქეთინოს უშველიდა მის ქმარს და გაჭირვებიდან დაიხსნიდა. ამით გახალისებულმა ქალმა თვითონვე დაუწყო ალერსი კოტეს.

რამდენიმე ხანს ისინი ასეთ განცხრომაში იყვნენ, როცა უეცრად ხარის ხმა გაისმა.

—ქმარია!—შიშით წამოიძახა ქეთინომ.

—ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!—ფერი ეცვალა ტრესტის დირექტორს—რა ვქნა, ადამიანო?

—აქ! აქ შეძვერი! მალე!—ანიშნა ქალმა ტახტის ქვეშ და თითონ კარის გასაღებად წავიდა.

დამფრთხალი დირექტორი ძლივს შეძგრა ტახტის ქვეშ. შეძგრა, მაგრამ აქ უარესმა გაკვირვებამ და შიშმა აიტანა. პირველად ეგონა, რომ შიშის გამო მოეჩვენა. მაგრამ მალე იგრძნო, რომ არ სტყუებდებოდა: მასთან ერთად ტახტის ქვეშ კიდევ ვიღაც მამაკაცი იყო იატაკზე გაშლართული.

—ვინ ხარ?—ჩუმად, ოდნავ გასაგონი ხმით კითხა კოტემ უცნობ მამაკაცს.

—ხმა, თორემ ცოცხალი ვერ გახვალ აქედან!—მოესმა პასუხად გაბრაზებული ჩურჩული.

V

—ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი!—შემოვიდა ბუზღუნით ოთახში ქმარი—ორი საბუთი იყო კიდევ. სადღაც აქ დარჩა ალბად! ხომ არსად გინახავს?

ქმარი ეცა უჯრებს, გადაქეჩა იქაურობა. მერე გადაქეჩა ყველა თარო, მაგიდები და ვერსად იპოვა.

—სად მივაჩერებ მე ოხერმა, სად?!—გაბრაზებული დადიოდა ოთახში და დაფათურობდა ყველგან.

—ეს რა არის?—თვალი მოჰკრა უეცრად ქეთინომ მაგიდის ქვეშ დაგდებულ ორ ფურცელს.—ეს ხომ არაა?

საბუთები მართლაც იქ აღმოჩნდა, რომელიც საჭირო იყო. ქმარმა დაავლო მათ ხელი და ისევ დააპირა წასვლა, როცა უეცრად პატარა მაგიდაზე პორტსიგარს მოკრა თვალი.

—ეს რა არის?—იკითხა გაკვირვებით.

წუთით ქეთინო დაიბნა, მაგრამ უეცრად მოისაზრა და ურცხვად სთქვა:

—ამ დღით, როცა საკომისიო მალაზიაში ვიყავ, ვიყიდე. შენთვის მიწოდდა საჩუქრად.

—ჩემთვის პორტსიგარი?—გაოცდა ქმარი—როდის იყო მე პაპიროსს ვეწეოდი?

—მე ისე მომწონს, როცა მამაკაცი თუთუნს ეწევა, რომ გადავწყვიტე გიყილო და მიგაჩვიო.

—საკვირველი სურვილები მოგსვლია!—მხრები აიჩეჩა ქმარი—ეს ქუდი? ეს ქუდი რაღაა? ესეც მე მიყიდე?

აღარ დაუცადა ცოლის პასუხს, აიღო ქუდი და დაიხურა. ქუდი იმდენად ღილა აღმოჩნდა, რომ თვალეზზე ჩამოეფხატა.

—ისიც ხომ არ მოგნატრები, ქალო, რომ თავი გამეზარდოს? ეს რაღაა? სთქვი, რა არის?! ვისია ეს ქუდი? ვისია პორტსიგარი? ვინაა მათი პატრონი?

VI

პატრონი ამ დროს ქეთინოზე მეტ გასაჭირში იყო. ცალკე ქეთინოს ქმართან გამოჩენის შიში ჰქონდა, ცალკე კიდევ სანდრუასი რომელსაც ამ წუთში კარგამოზრდილი დანა მიეზღინა მის გულთან და სიკვდილით ემუქრებოდა, თუ პიჯაკს არ გაიხდიდა და არ გადასცემდა.

პატრონი ამ დროს ქეთინოზე მეტ გასაჭირში იყო.

პატრონი ამ დროს ქეთინოზე მეტ გასაჭირში იყო. ცალკე ქეთინოს ქმართან გამოჩენის შიში ჰქონდა, ცალკე კიდევ სანდრუასი რომელსაც ამ წუთში კარგამოზრდილი დანა მიეზღინა მის გულთან და სიკვდილით ემუქრებოდა, თუ პიჯაკს არ გაიხდიდა და არ გადასცემდა.



არ გაუშვით! არ გაუშვით ავაზაკია..

ერთხანს უარობდა კოტე, მაგრამ როცა სანდრუამ დანის პირი მის გულთან მიიტანა შიშისაგან აცახცახებულმა კოტემ გაიძრო პიჯაკი და გადასცა ავაზაკს.

ოთახში კი ქმარი გაბრაზებით დადიოდა და უყვიროდა:

—სთქვი ვინ არის? ვინაა პატრონი?

—მე ვარ!—გაისმა უეცრად მჭექარე ხმა.

ეს სანდრუა იყო. ტრესტის დირექტორის პიჯაკში გადაცმული ის ტახტიდან გამოძვრა და შუა ოთახში თამამად გაჩერდა.

—ღიახ, მე განლაგარ! კმარა რაც აშდენი ხანი ფარულად მიყვარდა თქვენი ცოლი! ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი.. ღიახ, გვიყვარს და მზად ვარ ყოველნაირად დაგაკმაყოფილოთ, თუ კი თქვენ ამას მოითხოვთ!

გაოცებული ქეთინო უყურებდა ამ უცნობ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ვერ წარმოედგინა საიდან გამოჩნდა ოთახში.

სანდრუამ დაავლო ტრესტის დირექტორის ქუდს ხელი.

—ჯერჯერობით კი უმჯობესია წავიდე აქედან. ნუ დავღვრით აქ სისხლს.. იქნებ სხვა გზით როგორმე უკეთესად მოვრიგდეთ!—სთქვა ეს და წავიდა.

VII

—პიჯაკში ფულია!—მოაგონდა უეცრად ტახტის ქვეშ გასუღრულ კოტეს.

მან გარკვევით გაიგონა ყველაფერი და აიგონა ისიც, როგორ გადადგა ავაზაკმა ნა-



„პორტსიგარის პატრონი ამ დროს ქეთინოზე მეტ გასაჭირში იყო“..

ბიჯი კარისკენ. ეკარგებოდა პიჯაკი, ფული.. არც იმისი იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს არ მიაგნებდნენ. აქაც მიაგნონ და ტანსაცმელი და ფულიც დაკარგოს?

—ყოველნაირად გასულვლელად გასივალ! გაბრაზებით გაიფიქრა მან.

გაიფიქრა და იმავე წუთში მისთვის უხებურად დაუყვირა:

—არ გაუშვით! არ გაუშვით ავაზაკია!

ყვირილთან ერთად ქეთინომ დაიხინეს, რომ გამოძვრა ტახტიდან დაფეთებული მამაკაცი.

—არ გაუშვით! მილიცია!—ყვიროდა ის და მირბოდა დერეფნისკენ.

VIII

—შეჩერდით! გაისმა უეცრად მესამე ხმა. გაიწია პარტიერა და იქიდან დიტო გამოვიდა.

თამამი, გაბედული ნაბიჯით დადგა ის შუა ოთახში და დინჯად წარმოსთქვა:

—გირჩევთ დამშვიდდეთ! რასაკიროა მილიცია! თქვენთვის უარესიც იქნება! ვინაა ჩვენ შორის მეტი ქურდი, ეს კიდევ საკითხია. ჩვენ სიცოცხლე გაწირული გვაქვს იმ იმედით, რომ იქნებ მოგპაროთ რაიმე მცირედი იქიდან, თქვენ რომ ოხრად ეზიდებით შინ. თქვენ კი? თქვენ გულმშვიდათ ხარჯაოთ მოპარულ სახელმწიფო ათასებს და მაინც პატიოსან მოქალაქეთ ითვლებით. მე ყველაფერი გავიგონე. მე ყველა თქვენი საიდუმლო ვიცი. თუ ჩვენ დაგვაპატიმრეს თქვენი მიზეზით, იცოდეთ გაგამელაგნებთ. მაშინ ვნახავთ, ვის უფრო მაგრად მოკიდებენ ხელს. ჩვენ ახლოვ ქურდაცაცები ვართ, თქვენ კი..

დიტომ თველი მოჰკრა პორტსიგარს. ხელში აიღო. გახსნა.

—არა უშვავს რა, კარგი პაპიროსია! ასანთი არა გაქვთ?

ქეთინო, მისი ქმარი და კოტე უძრავად იღვინ.

—ასანთი არა გაქვთ?—გაიმეორა დიტომ—რამ გაგაშტერათ ასე?

ამ დროს კარი გააღო და სანდრუას თავი გამოჩნდა.

—ასანთი არა მაქვს! ა, წაიღე!


—ეს პორტსიგარი კი!—გაეღინა დიტოს—მე გამომადგება! თქვენ სახსოვრად წავიღებ, პატივცემულო დირექტორო! იქ სადღაც ოციათასები გაგიფლანგიათ, ეს მცირედი ხომ გულს არ დაგწყვეტთ! ახლა კი ნახვამდის, პატრცემულო მოქალაქე. გაძლევთ სიტყვას, აქ მოსული ვეღარ მნახოთ!



— რას იყურებთ იქით-აქეთ, ბეთლემს ხომ არ ეძებთ?  
— არა! ჩვენ ყოფილი მეფეები ვართ... ტახტებს დავეძებთ.. („მუხა“, ვარშავა)

კონსერვატი.

ცნობილი მუსიკოსი ფურტენგლერი, რომელიც გერმანიის მუსიკალურ კულტურას ხელმძღვანელობდა, ფაშისტების რასული პოლიტიკის წყალობით იძულებული გახდა სასახლისთვის თავი დაენებებია.



ჰერინგი: — რა არის ჩემთან ფურტენგლერის ორკესტრი? მე ერთხ შემიძლია ისე ავგუგუნდე, რომ მთელი ქვეყანა გადავაყრუო. („ბა რუბ.“)

მეტად გაძნელდა, ბატონო, საჩვენო ინფორმაცია. დღელამ „ფაქტების“ ძებნაში გამახმო ლანდათ მაქცია. ხალხმა და მისმა მთავრობამ ოცნება ფაქტად აქცია. არც კი ქანაობს ოღნავად მათი კურსი და აქცია.

\* \*

იმედი მქონდა — ხუთწლეულებს ვერ გაუძლებდენ ესენი, რომ ეწვეოდა, და ბოლოს, ჩვენ რომ გულს გვიღრღნის ეს სენი. მაგრამ მოვტყუვდი, მიზეზი მგონი წინადაც ავხსენი, კოვზი ჩავარდა ნაცარში და მეც ხუთწლეულებს ვეხსენი! იმედი მქონდა-ქარხნები თუმცა ააგეს მრავალი, რას გაუგებს-თქო მანქანებს ხალხი ტყე-ველად ნავალი! გააფუჭებენ, ვფიქრობდი, ეს არის მათი წამალი. აქაც მოვტყუვდი, ბატონო, თქვენთან რაღა მაქვს საშალი! მერე ვიფიქრე, თუმცა-ღა საქმე გააწყვეს ქალაქში, სოფელში ჩაიფლებიან კოლექტივები ტალახში. რას გააწყობენ გლეხობის ბნელსა და უვიც ძალაში! აქაც მიმტყუნა ნაფიქრმა ჭკუათხელ თავის ქალაქში! მერე ვიფიქრე, ბატონო, მალე იქნება ომია ციხე შიგნიდან მაგარი გარედან მისადგომია. გწერეთ და გწერეთ: დაესხით იჩქარეთ სანამ ცომია! მერე ტერორის იმედმა წუთით ამისხა მხარია ვიფიქრე — ახლა გვეშველა დაგვიდგა ჩვენი დარია, მაგრამ მიმტყუნა იმედმა დიდხანს არ გაძიხარია ჩემი საქმენი ბატონო, შენაც მრავალჯერ გიქია, მაგრამ დღეს შოვნა ფაქტების ზღაპარია და მითია! როგორც აქამდე, დღეს კვლავაც განმეორებით მითქვია, ჩვენი დამხსნელი ისევე კვლავ ეს სალოკი თითია! ვწუწნი და ვწუწნი საბრალოს გადაძებრა უკვე ფხილია! დღესაც გიგზავნი ერთ ამბავს სიმწარით მოგონილია, კარგად გასინჯე — კბილებით, ნახე რა რიგი ხილია! სწერ და მართალიც იქნება, ახლა მკითხველიც ფრთხილია. ასე დასწერე ბატონო: ერევანსა და ბაქოსა, და ტფილისს შორის მოსკოვმა მტრობა და შური დათესა! დაირღვა ფედერაცია, რომ ადიდეს და აქესა! მტრობა და შუღლი გამეფდა და კინკლაობა აქ, დღეს! სომხები წამოედავა ტფილისზე საქართველოსა, საქართველოს სურს ბაქოშიც იჯდეს და იმმართველოსა, ვინძლო რომ ჩქარა მით სისხლმა აქ მიწა მოასველოსა, ვისაც შნო აქვს და უნარი მოვიდეს, ფური წველოსა! ტფილისში აჯანყებაა, ერევანს თოფის სროლაო. ბაქოს ქუჩებში მუშებს და არმიელებს აქვთ ბრძოლაო! ხალხო წამოდიო, წამოდიო, გეყოფათ გვერდზე წოლაო, ისეთი დროა — ეკმარებს, ქვემეხის ერთი სროლაო. ბაქოს ნავთია საფრთხეში შავი-ქვა საქართველოში, სომხეთს ბევრია სიმდიდრე მთაში, ბარში და მდელოში! ვინც დააწყნარებს ამ ქვეყნებს ის გაიმარჯვებს ლელოში, ლუკმას მსუქანს და სარფიანს აიღებს გასამრჯელოში.

\* \*

ასე დასწერე, ბატონო, სხვა რა მოგწერო, რა ვიცის მაშ ხომ არ დავეწერ ლაღობს-თქო სამი ძმა, ძმებად ნაფიცი, შრომობსთქო მუშა და გლეხი, ხელე წამონაკაპიწი, მაშ ხომ არ დავეწერ, გავკოტრდით, დაგჩაჩანაკდით, დავიწვით. მეტად გაძნელდა, ბატონო, საჩვენო ინფორმაცია, დღელამ ფაქტების ძებნაში გამახმო, ლანდათ მაქცია! ხალხმა და მისმა მთავრობამ ოცნება ფაქტად აქცია, დასწერე, იქნებ ოღნავად ასწიოს ამან აქცია!

\* \*

ეს წერილი მე შემთხვევით ჩამივარდა, დავიჭირე და ვთქვი — კარგი ნიშანია, მტერი თუ თავს დაიტირებს! ვთქვი — მურტალო, რაც გინდოდეს ის მოკორე, ის მოჩმახე; წადი, სადაც შენსას იტყვი — იქ ჩვენზედაც დაიძახე!

სოზიკა

მთელ რიგ რაიონებს არ მოეპოვებათ წყალსადენი და მცხოვრებთ წყლისათვის შორეულ მანძილზე უხდებათ სიარული. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ვაკვეყნებთ წყალსადენის პროექტს, რომელიც წარმოადგინა რედაქციას ჩვენმა თანამშრომელმა ახს. დონმა.




წყალსადენის ახალი პროექტი.



ნახ. ღონის

სოფ. პატარა ვანში (ენჭუჭის რ.) ფინმუშაქმა სიმონ კვახაძემ მიიღო ბარძიმ-ფეშხუმი, ენბაზი და სხვა საეკლესიო ნივთები. ვიღაცის დახმარებით მან „შეისყიდა“ სახლიც, რომელიც სოფელს ეკუთვნოდა.



სიმონია კვახაძეს იცნობს რაჭა-ლეჩხუმში წააცოცა საყდრიდან ბარძიმი და ფეშხუმი

მისი თანამოსაქმე ალექსანდრე დვალია: „ღმერთი“ წყალობს ორივეს ორივე სოფლის თვალთა.

მ.შ.

ერთი სამოცა წლის ინგლისელი მალაროელი კინალა სიცივით გაყინა. ბევრი იუქრა, მაგრამ როგორც ვიცით, ფიქრით კაცი ვერ გათბება. ისევე ადუა და მალაროში წავიდა, მალაროში ათარებელი ნახშირი ეყარა. მალაროელმა ნახევარი ვედრო აავსოდა შინ წამოიღო.

ეს იყო სულ ექვსი კაპიკის ნახშირი. მალაროელს გაუგეს. იგი გაასამართლა მოსამართლე სკრუტონმა და თითო კაპიკში თითო თვის ციხე მიუსაჯა. სულ გამოვიდა 6 თვის ციხე.

მალაროელი ახლა ციხეში ზის და ანგარიშობს: — „თითონ სკრუტონს ქრთამებითა და სხვა სახით თავის სი-ცოცხლეში მოპარული აქვს 108 ათასი გირვანქა სტერლინგი, სტერ-ლინგში არის 5 მან. 60 კაპიკი. ყველაფერი ეს რომ კაპიკებზე გა-დავიყვანოთ, გამოდის 60.480.000 კაპიკი.

თვით სკრუტონის მართლმსაჯულებით, ამდენი კაპიკის მოპარ-ვაში მას უწევს 60 მილიონ 480 ათასი თვის. 540.000 წლის ანუ ნახევარ მილიონზე მეტი წლის ციხე.

— რა ბედნიერებაა, რომ მოსამართლე არა ვარ, რა გამაძ-ლებინებდა ციხეში ნახევარ მილიონ წელიწადს!.. — ფიქრობს დაპა-ტიმრებული მალაროელი.

კუკუ კუკუ კუკუ

„დავაუფლოთ ტყეპანას“.

ზოგიერთ საბჭოთა ორგანიზაციებში (მაგ. საქ. მიწსახეობი) ხშირად იკარ. გება მუშათა პრაქტიკული წინადადებანი

შეკითხვა

ქუთაისში პოლიტსკოლის პროპაგან-დისტს კავილაძეს შეეკითხვნ მსმენელები: „როგორი მთავრობაა ამ ქაში ინგლისში“ კავილაძემ „განუმარტა“, რომ „ინგლისში ამ ქაში მუსოლინის მთავრობა არის“. კავილაძე ქუთაისის პედინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი.

ფოსტას გაქაპვს

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის ად-გილკომის თავჯდომარემ და პროფწრის ხელმძღვანელმა პატარიძემ მეცადინეო-ბის დროს მიცემულ შეკითხვის საპასუ-ხოდ განაცხადა, რომ ტრედუნიონისტურ პროფკავშირებს კომუნისტები ხელმძღ-ვანელობენო.

შენზე, ამობენ სტუდენტო, „პოლიტკოდნაში, გრაფია:“ რუქებს ასწორებს ქვეყნისას, შეაესო გეოგრაფია.“ პედ-ინსტიტუტის თვალი ხარ, (ნიჭიც გქონია დიადი) ვინ გამოგცადა შესვლის დროს, ვინ დაგიწერა ფრიადი?!

პროფ. მუშაკი პატარიძე ქუთაისის ფოსტის მნათი, შეკითხვაზე იკარგება, ვით ფოსტაში ამნათი.


„რთული“ კითხვა

ქუთაისში მიმდინარე პოლიტ. წრის ხელმძღვანელ სულუხიას შეეკითხვნ მსმე-ნელები: „ვინ არის ჰიტლერი და რა მდგო-მარეობაშია იგი ამჟამადო“, სულუხიამ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ჰიტლე-რი დაპატიმრებულია და ტელმანი კი უკვე განთავისუფლებულიაო.“


რამორდი

წითელი ჯვრის საჩხერის განყოფი-ლების მალაზიის გამგემ დაბაძემ გდფსს იაკობაშვილს 45 კაპიკიანი წამალი 10 მა-ნეთად მიყიდა

ჩაგაჯინეს სულუხიამ, „რთული“ მოგცეს რადგან კითხვა, ჰხამს,—სანამ სხვებს ასწავლიდვ, თვით ისწავლო წერა-კითხვა.



ზარი და მშვენი ანუ უებარი საშუა-ლება მუშათა პრაქტიკული წინადადებების უდროოდ დალუპვისაგან გადასარჩენად.



მოგვარდა გ. ლეონიძემ

**ღიაკვანი ჩაიჭრა**

— „ნოეს რამდენი შვილი ჰყავდაო?“ — კითხა ეპისკოპოსმა გამოცდის დროს ერთ სოფელს ღიაკვანს.

— სამი: სემი, ქამი და იაფეტი, — უპასუხა ღიაკვანმა.

— იმათ მამას რა ერქვა?

ღიაკვანს დაავიწყდა ნოეს სახელი და ამის გამო ეპისკოპოსმა არ მისცა ადგილი.

ღიაკვანი გავიდა დაღონებული.

თავის სახლს რომ მიუახლოვდა, ცოლი წინ მიეგება და ჰკითხა:

— კაცო, რათა ხარ აგრე დაღონებული?

— რაღა რათა ვარ: არქიერმა გამოცდაზე ისეთი ძნელი რამ მკითხა, კილამ გავგიჟდი.

— მაინც ისეთი რა გკითხა?

— ნოეს რამდენი შვილი ჰყავდაო. მე შვილების სახელი ვუთხარი და მამის სახელი კი დამავიწყდა.

— მართლა გავიწყებულხარ თუ ეგ არ იცი! ეხლა ჩვენს მეზობელს ტეტის რამდენი შვილი ჰყავს?

— სამი: ნოდარი, ივანე და მიხა...

— ეხლა იმათ მამას რა ერქმევა?

— რა უნდა ერქვას, ტეტია ერქმევა!

— ჰო და მაგრე ვერ ეტყოდი?!

— ღიაკვანმა მეორედ ითხოვა ადგილი. ეპისკოპოსმა შეისმინა იმისი თხოვნა და ისევ ჰკითხა:

— ნოეს რამდენი შვილი ჰყავდა?

— სამი: სემი, ქამი და იაფეტი.

— იმათ მამას რა ერქვა?

— „ტეტია“ო, უპასუხა ღიაკვანმა.



**მიზეზი**

ერთი მელოტი კაცი ამბობდა: „ახლანდელ ყმაწვილების ყოფა-ქცევას რომ კაცმა უყუროს, თავზე თმა აუღვებოა“.

— გეტყობა ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა კიდევ ამდგარა და კიდევ წასულაო — მიუგო აკაკიმ.

ქართული სიტყვიერება მდიდარია სატირის და იუმორის საუკეთესო ნიმუშებით. ვის არ გაუგონია ჩვენში ა. წ. მოსწრებული სიტყვები, ჴმები, ნაკვესები, რომლებშიც დაცინვის ობიექტის გამანადგურებელი ირონია იხატება. ისინი უხვადაა გაფანტული მშრთმელი ხალხის ფართო მასებში. ჴოგი მათგანი კი სხვადასხვა ძველ გამოცემებში არის გაბნეული. სატირა-იუმორის ძველი ნიმუშების მკითხველებისათვის უფრო მისაწვდომად გაზდენის მიზნით ვიწყებთ სისტემატიურად მათ გამოქვეყნებას.

**რალაც „გოგია“ და დემაგოგია**

1849 წელს ერთმა სალდათმა დაპატიმრდა ქუჩაში მომავალი ფრაკიანი კაცი, რომელიც იმ დროს ოხუნჯობითა და მოაზრებულის სიტყვით იყო განთქმული.

— რისთვის მაპატიმრებ? — ჰკითხა ფრაკიანმა.

— შენმა ამხანაგებმა მითხრეს, რომ შენ დემაგოგი ხარ!

— დემაგოგი-კი არა, პედაგოგი ვარ, პედაგოგსა და დემაგოგს შორის, ძალიან დიდი განსხვავებაა! — უპასუხა ფრაკიანმა.

— აბა, ეგ რა ჩემი საქმა? — შენ მაინც რალაც „გოგია“ ყოფილხარ და მე მაგის შეტვი არა მეკითხება რა, გასწი, ჩქარა საპატიმროში და იქ მთავრობა გააარჩევს, ვინც ხარო — უპასუხა მეფის გუშაგმა.



**ვაი ჰაუისაგან**

— „რას მივაწეროთ, რომ ეს და ეს კაცი როცა მთვრალია, კარგად ლაპარაკობს და სასიამოვნოც არისო და თუ ფხიზელია, მაგისი ვერა გავიგია-რა? — ჰკითხეს ერთხელ აკაკის ჴკუა მხიარულმა თავადებმა.

— უთუოდ როცა თვრება, რაც თქვენ არ მოგწონსთ, იმასა ჴკარგავსო, უპასუხა პოეტმა

**არგუმენტი.**

ერთმა დედაბერმა კინტოსაგან ორ აბაზად საზამთრო იყიდა, მოუჭირა ხელი და გამყიდველს უთხრა:

— „ქა მომატყუე შე არ გასაზრდელო: ამას ხმა არ აქვსო“

ამაზე კინტომ უპასუხა:

— ვა, მა რა გინდა! ორ აბაზად შიგ „დრუხუნი მუზიკის“ ორკესტრს ხომ არ ჩაგისვამო?“

**იაზი მზაპრობა**

მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში თბილისში ერთი-ერთმანეთზე რამდენიმე შეძლებული სოფდაგარი გარდიცვალა.

მაშინ ტფილისში ჩეხების ორკესტრი იყო დროებით მოსული და გარდაცვალელები სულ ჩეხების მუსიკით იმარხებოდნენ.

ერთმა ახალგაზრდამ იკითხა:

— ეს რა ამბავია, რომ წელს ამდენი ვაჭრები იხოცება?

— ჩეხების მუსიკა იაფია და იმას ვმუშობიანო, — მიუგო მეორემ.



**ვალის მსხვერპლი**

ოთხმოცდაათიან წლებში ერთი ქართველი ლოთი-ფოთი ახნაური ამ წოდების წარმომადგენელთა ჩვეულების თანახმად, ქეფის დროს, როცა ყანწს ხელში იღებდა, მუდამ გუნებაზე დგებოდა და იძახოდა: „ჩვენ ვალი გვაწევს მამულის წინაშეო“. ბოლოს ამ ვალის ძახილში ქონებაც გაფლანგა და იმდენი ვალიც დაეღო, რომ მოვალეების დასაკმაყოფილებლად ერთი ქალაქელი ვაჭრის მახინჯი და ხნიერი დედაკაცი შეერთო. სამაგიეროდ ცხადია დიდი მზითვეი მიიღო.

— როგორ მოგწონს პატარძალი? — გადაულაპარაკა ქორწილში სიძის მაყარმა თავის ამხანაგს.

— პატარძალის რა მოგახსენო და სიძე კი სულ „ვალი გვაძევს“, იძახოდა და მართლაც ვალის მსხვერპლი გაძხდარაო.



ნახ, დონ...

ამბავი ჯორჯიაშვილის ქუჩაზე დაიწყო და სასამართლოში დამთავრდება.

დაღმართზე სასწრაფო დახმარების ავტობუსმა ჩამოიქროლა და მიმავალ ქალს გვერდი გაჰკრა. დაფეთებული დედაკაცი გამვლელ ახმახ მოქალაქეს დაეჯახა და ორივენი იქვე ნორჩ ტირიფის ხეს დაეტაკნენ. ქალს გული წაუვიდა. „სასწრაფო დახმარების“ ავტო შორიახლოს გაჩერდა.

— მოგვეშველეთ, ქალი კვდება, ჩქარა, საავადმყოფოში! — მოითხოვა ხალხმა.

— სად გვეცალია მაგისათვის, მუხრანის ხიდზე ვილაცის სახრით სცემეს და იქითკენ მივექარებით! — განაცხადეს „სწრაფ დახმარებლებმა“ და გზას გაუდგნენ.

ხალხი აღშფოთდა.

მშველელი არავინ იყო.

ახმახმა კაცმა, ალალო მაღალაძემ ხალხი გაარღვია და დაზარალებულის — ყოფილ მის მეზობლის, ზინაიდა ფაშაძის თავთან ბოძივით აღიმართა. რა უნდა ექნა განსაცდელში ჩავარდნილ ბეითალ ალალოს? იგი საქონლის ექიმი და ადამიანის მორჩენა არ შეეძლო. ჩვეულებრივ პრიმიტიულ ხერხს მიმართა: დაზარალებულს ყურის ბიბილოები დაუსრისა და როდესაც აქედანაც არაფერი გამოვიდა, სამი ლაზათიანი სილა გააწნა ლოყაში. ზინაიდა მოსულიერდა; წამოაყენეს და შეგუფებული ხალხი დაშლას აპირებდა, რომ... ვილაც მოქალაქემ მილიციის თანამშრომელი მოიყვანა.

— აი, ეს მოქალაქე იყო, ამხანაგო მილიციელო, დიახ სწორედ ეს დაეტაკა და დაამტვრია! — იძახდა უცნობი მოქალაქე და ხელს ალალოსაკენ იშვერდა.

— თქვენ დაეტაკეთ მოქალაქევ? — იკითხა მილიციელმა.

— არა, — იყო ალალოს პასუხი.

— მაშ ვინ დააზიანა?

— ავტობუსმა ამხ. მილიციელო, მე აქ არაფერ შუაში ვარ!

— ნუ ცრუობ, ავტომობილს აქ რა უნდა დაქა?

ალალო და უცნობი მოქალაქე მილიციელმა და მეზობრემ მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

— თქვენი სახელი და გვარი? — იკითხა მილიციის მორიგე თანამშრომელმა.

— ალალო მაღალაძე.

— წლოვანობა?

— ორმოცი წლის.

— მამა თუ გყავს?

— მყავდა.


— რა პროფესიის იყო?

— ტყისმცველი, ამხანაგო მორიგე.

— სირცხვილი თქვენი, მამათქვენი ტყისმცველი ყოფილა, თქვენ კი არ უფრთხილდებით და ასე უმოწყალოთ ამტვრევთ.

— თქვენ მგონი სცდებით ამხანაგო, მე ის კაცი არა ვარ.

— ნუ ცრუობ მოქალაქე მაღალაძე, მე ჩემის თვალთ დაგინახეთ, განა თქვენ არ ხართ ის კაცი, ნორჩ ტირიფის ხეს რომ დაეტაკეთ და დააზიანეთ? რატომ კადრულობთ ტყუილის თქმას? — მიმართა ალალოს უცნობმა მოქალა-



— რადიოში თქვეს: „უკან აღარ უბრუნებენო“. რას არ უბრუნებენ მამილო?

მილარამ: (რომელმაც მიოლოდ უკანასკნელი წინადადება გაიგონა) ხურდას!.. შვილო, ხურდას!

ქემ. (მცენარეთა დამცველ საზოგადოების წევრმა).

— გაკვირვებული ალალო დაიბნა და ძლივს წამოილულლულა:

— ეგ კი მართალია მაგრამ მე მაინც არ ვტყუი! მე სხვა დამეჯახა და იმ სხვას კიდეც სხვა დაეჯახა.

— ჩვენ სხვასთან საქმე არ გვაქვს, თქვენ დაეჯახეთ ტირიფის ხეს და დააზიანეთ, თქვენ მოქალაქე ხელს უშლით ქალაქის გამწვანებას, ჯარიმა უნდა გადაიხადოთ!

— ფული რომ არ მაქვს?

ალალოს ოქმი შეუდგინეს და დაპირდნენ, რომ ჯარიმის ოქმი სახლში მოუვიდოდა და თუ არ გადაიხდიდა, იძულებით სამუშაოზე გაგზავნიდნენ.

გულისფანცქალით ელოდა ალალო ჯარიმის უწყებას.

დიდ დროს არ გაუვლია: ერთ დილას მის ეზოში ვილაცამ ალალო მაღალაძე იკითხა და უწყება მისთავაზა.

თეთრზე შავად ეწერა:

„ა/წ. 25 მარტს, დილის 9 საათზე, გევალებათ დაუგვიანებლივ გამოცხადდეთ სახ. სასამართლოში მოქ. ზინაიდა ფაშაძის საქმეზე, როგორც ბრალდებული“.

— რად მაწვალებენ ამდენს, ჯარიმას სასამართლოს გარეშეც გადავიხდიდი. ალბათ უნდათ, რომ ზინაიდასაც ჯარიმა გადაახდევინონ, რას ვიზამ, ბედს უნდა დავმორჩილდე! — გაიფიქრა ალალო და სასამართლოში დანიშნულ დღემდე მიაკითხა საქმის შინაარსის გამოსარკვევად.

ალალოს ასეთი განცხადება დაახვედრეს:

„სახალხო მოხამართლეს

ზინაიდა ფაშაძის

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ... (გამოტოვებულია ექვსი გვერდი)... ავტომობილი რომ დამეტაკა და უგრძობლად დავეცი, ჩემმა ყოფილმა მეზობელმა ალალო მაღალაძემ, რომელთანაც მე ჩხუბი მძონდა ხოლმე სამზარეულოს თაობაზე, შურისძიებისათვის დრო იხელთა და ისეც უგრძობ მდგომარეობაში მყოფ ქალს, რამდენიმე სილა გამარტყა. მილიციამ თუმცა დევიკირა, მაგრამ ისტველე გაუშვა. გთხოვთ საქმე გარჩეულ იქნეს და ალალო მაღალაძე დაისაჯოს!

განმცხადებელი: ზინაიდა ფაშაძე.“  
გაწმობილებული ალალო მოუთმენლად მოელის დანიშნულ დღეს. საქმე, თუ არ გადაიდო, გაირჩევა.

გ. ივანიშვილი.

## ამხ. ნიანგო!

ამ წერილს ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშიდან გწერ. მართალია ჩვენს სოფელს აქამდე შროშა ერქვა, მაგრამ ჩვენი სოფლის მცხოვრებლებმა ერთხმად დადგინეს, რომ დღეის შემდეგ მას სახელი შეუცვალოთ. დღეის შემდეგ სოფელ შროშას სოფელი ხახვი უნდა დაეარქვათ.

— რატომ „ხახვი“ — იკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ ჩვენი სოფლის შექმა და გაბახება — „გაფუხტა-აკება“ ერთ პატივცემულ მანდილოსან ქალს ხახვივით შერჩა!

საქმე შემდეგშია:

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენს სოფელს „საქართველოს წითელმა ჯვარმა“ მოუვლინა ვინმე მანდილოსანი — ნინა კაპანაძე.

— იკით მე ვინა ვარ? — განაცხადა ნინა კაპანაძემ: — მე ცაკის წიგრი ვარ!

— ბიჭოს!.. — მოწიწებით ჩავილაპარაკეთ სოფლებმა: ავშენდით ხალხი! მოგვეხმარება თუ საქმეში დაგვეჭირდა...

— მე საქართველოს პროკურორი ვარ... — დაუმატა ტიტულს უცხო მანდილოსანმა.

„ცაკის წიგრი“ კაპანაძე დაპირდა ჰირისუფლებს პატიმრების განთავისუფლებას. დაპირდა დაბეგრულ კულაკებს და შეძლებულებს გადასახადის პატივებს... ამის შემდეგ გაჩნდა „საქართველოს პროკურორი“ კაპანაძის ოთახში ღვინით სავსე ტიკები, გოჭები, ცხვრები, ინდაურები. „რფილისის მატარებელი ძირულის სადგურზე კაპანაძის „ხათრისთვის“ რამდენიმე წუთით შედმეტხანს ჩერდებოდა“ და მთელი თვიობით ეზიდებოდა თბილისში კაპანაძის ქალის მიერ „კეთილ შეძენილ“ სურსათ — სანოვაგის.

ეს მოხდა მსუქან შემოდგომის თვეებში: გაქრა შემოდგომა და გაქრა ჩვენი „მხნელი ცაკის წიგრი“ და „საქართველოს პროკურორი“ ნინა კაპანაძე.

მალე გამოიკვია კაპანაძის აფერისტობა. საქმე სასამართლოსაც გადაეცა, მაგრამ კაპანაძე მაინც დაუსჯელი დასეირნობს და შროშულ პურმარის ჩვენში ძველი მებატონის ივანე აბაშიძის მემკვიდრესავით არხეინად შეიქცევა. შეიქცევა და ჩვენი სოფლის „გაფუქენა“ მისი შექმა, უკვე ფაქტია, რომ აფერისტ მანდილოსანს ხახვივით შერჩა ამის შემდეგ ჩვენ უკვე გვრცხვენია ჩვენი სოფლის ძველი სახელის ხსენება, რადგან ვიცით რომ მის ხსენებაზე კაპანაძის ქალის „გასტროლის“ შემდეგ ყველანი მასხარად აგვივადებენ. ამიტომ გამოვიტანეთ ეს დადგენილება. რომელსაც ჩვენ უკვე ვანხორციელებთ; ამ დადგენილების შემდეგ სურამ-ძირულის შარავზახე, რომელიც ჩვენს სოფელზე გადის ხშირად შეხვდებით ასეთ საუბარს:

- სადაური ხარ?
- ხახველი
- საიდან მოხვალ?
- ხახვიდან.
- სად მიხვალ?
- ხახვში.

ასე რომ ყველაფერია გაკეთებული იმისთვის, რომ ჩვენს გაბახებულ სოფელს სახელი შეეცვალოს

ამხ. ნიანგო, ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩვენი დადგენილების ასლს და გთხოვთ გვიმუშაოდეთ მოლოთ შემდგომ ორგანოებთან რათა დაგვიდასტუროს დადგენილება.

გარლამ ჩიხლაძე

სოფ. ხახვი (ყოფ. შროშა).

## რატომ წაართვეს ბაყაყებს მიწა?

ნაწყვეტი პოეტი ჩანჩურაშვილის გამოუქვეყნებელი პოემიდან,

კ. კოლხიდის ქაობის ამოშრობის გამო:

ბედი რატომღაც ჩვენ აგვიხირდა გაქრა სიჩუმე და იდილია. მოვინახულე მე დღეს კოლხიდა და ბაყაყები მოწყენილია.

არ ისმის მათი ტკბილი კონცერტი, რომ აყრუებდა თვალუწვდენ ველებს. არ მხიარულობს მათში არც ერთი. და სასიკვდილოდ ყველას ახველებს.

„სიმღერის“ ხალისს რა მისცემს ბაყაყს, როცა დაუშრეს ქაობი ბინა. არ აულიათ იმათგან ნება, ისე შეიჭრა შრომა და რკინა.

ღმერთმა რომ შექმნა ეს დედა-მიწა, ბინა ბაყაყებს კოლხეთში მისცა. აი ამ ხნიდან ცხოვრობენ აქა, მკვიდრი არიან ამა მხარისა. დღეს მათ ცხოვრებას გაუჩნდა ლაქა, მოწმე არიან ბედის მწარისა.

გამართეს კრება. ჰქონდათ თათბირი და შეკრა მჭიდროდ სუყველამ პირი:


„რაკი მოგველის განადგურება, აღარ გვარგია ბედის ყურება. სჯობს ყველამ ერთად დავიხრჩოთ თავი და გავითხაროთ ძმური საფლავი“

ეს გადასწყვიტეს. უკანასკნელად იწყეს სიმღერა ტკბილად და ნელად. (აწ ეს კონცერტი სამგლოვიარო, ვერსად ვისმინო, სადაც ვიარო!)

აჰა, დასრულდა მათი კონცერტი და გადაეშვენ ისინი წყალში. წყლის ნაპირებზე არ დარჩა ერთიც; მე კი გამიჩნდა ცრემლები თვალში.

მე თვითონ ვნახე ეს ამბავი, ამბავი მწარე, და გულსაკლავი. და გული შემდეგ მოწყენილია: გაქრა სიმშვიდე და იდილია.

რატომ წაართვეს ბაყაყებს მიწა, მიწა, რომელიც ღმერთმა მათ მისცა? იხილეთ.



ნახ. დონის



— ჩვენ, ჩაბჩ-სპეკულიანტები, რომელნიცა, რომა ვიჩაგრებით და ვიდევნებით პირისაგან ქვეყნისა, დიდად კმაყოფილი ვართ თქვენი ფასების პრეკრასნი რამე პოლიტიკით... რომელიცა რომა... ოჩენ სპასიბა!..

## აშხანაგო ნიანგო!

ამხანაგო ნიანგო! ალბათ შენც გაგიგონია: თებერალი დადგაო, ხეში წყალი ჩაღდაო.

ხეში წყალის ჩადგომა რამდენად სწორია, ეს ჩვენ არ ვიცით, ხოლო ის კი ვიცით, რომ წყალი ჩვენ ჩაგვიღდა.

უკვე მარტია. საბჭოთა მინდვრებზე ტრაქტორები აგუგუნდა. მათ ჩვენც უნდა ამოფუდგეთ მხარში, რომ რაც შეიძლება მეტი ფართობი მოეხნათ და დაეთესოთ.

მაგრამ შეგვეძლება ჩვენ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა?

აქედანვე ვაცხადებთ, რომ არ შეგვეძლება.

და არ შეგვეძლება აი რატომ: არა გვაქვს ბინა, არა გვაქვს მოვლა, არა გვაქვს საკვები.

მართალია, სამი კაცი უნდა გვივლიდეს ჩვენ, (სამივენი ტაბატაძეები არიან), მაგრამ არცერთი მათგანი ყურადღებას არ გვაქცევს. ფეხზე ძლივს ვდგავართ. სული ძლივს გვიდგია. სირცხვილად

მიგვაჩნია, მაგრამ ამთავიდანვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ, მომავალი თესვის გეგმას ვერ შევასრულებთ მოსალოდნელია, ამის გამო ჩვენ როგორც უვარგისნი, კიდევ დავკლან, მაგრამ ასეთ ცხოვრებას სიკვდილი სჯობია

ხევის (ხარაგოულის რაიონი) კოლმეურნეობის 8 ხარის დავალებით: ნიკორა, ნისლა.

ამხანაგო ნიანგო! გასული წლის უკანასკნელ ნომერში შენ წერდი შინაური ცხოველების საყოველთაო აღწერის შესახებ.

აღწერაში წვენიც უნდა მოვმხვდარიყავით.

მაგრამ რა მოხდა?

იოსებ ტორაძემ და სიბიტო სილაკაძემ, რომლებიც მუხიანში ცხოვრობენ, გადაგვმალა ჩვენ: დეკეული, ღორი და 16 გოჭი.

მართალია, ესენი შავსიელები არიან, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენც მათსავით ვიყოთ ცხო-

ველთა საერთო რიცხვიდან გამორიცხული.

ვაცხადებთ რა ამას, გთხოვთ დამატებით სიაში ჩვენც შეგვიყვანოთ.

დავალებით: დეკეული ვარსკვლავა.

ამხანაგო ნიანგო! ამას წინადა ჩვენ ცენტრიდან მივიღეთ რამდენიმე ათასი მანეთი და განმარტებითი ბარათი:

„იმ მიზნით, რომ თითოეული კოლმეურნე გახდეს შეძლებული და თითოეულ მათგანს ჰყავდეს საკუთარი ძროხა, გევალებათ გამოგზავნილი თანხით კოლმეურნეთათვის შეიძინოთ ხბოები, რომელთა დაკონტრაქტებას ახლავე უნდა შეუდგეთ“.

ჩვენ ბევრი ვიმჯელებთ ამის შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდით, რომ ეს გამოიწვევს კულაკობის ისევ წარმოშობას და ისევ ახალი ბრძოლის საჭიროებას.

მოგეხსენებათ რომ ხბო ვაიზრდება, ძროხად გახდება, ძროხა ხბ-

ოებს მოიგებს, ეს ხბოები კიდევ ახალ ხბოებს, მოიგებენ და, ამგვარად მოსალოდნელია მებატონის მთელი ჯოგი გაუზრდეს, კაცობისათვალნი შნავს მის კულაკად გახდომას. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ვამჯობინეთ მიღებული თანხით დრო გავვეტარებოთ ადგილობრივ სასაბჭოში და გამოგზავნილი ფული ისევ დაბრუნებულიყო სახელმწიფო საღაროში საზღვებისა და გემოკვების ხაზით.

ფეიქრობთ ჩვენი ამ საკითხისადმი დამოკიდებულება იდეოლოგიურ—პოლიტიკურად გამართლებულია და სწორი.

ნიგოზეთის (ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობის მესვეურთა დავალებით: (ხელისმოწერა გაურკვეველია).

ამხანაგო ნიანგო! ჩემი შენობა უნუგეშო მდგომარეობაშია. სწორედ ამ მიზნით წელს მოწყობილ იქნა საღამო, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ჩემი შენობის შეკეთებასა და, საერთოდ, სკოლის კეთილმოწყობას. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საღამოში და ფულიც გვარიანად შემოვიდა.

ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ საღამოდან შემოსული ფულის ერთი კაპეიკიც არ დახარჯულა ჩემზე და იგი მთლიანად მოხმარდა საღამოს ხელმძღვანელებს: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, კაპანაძეს და პარტორგს გულიაშვილს.

პ. ც. კალვათის (ჭიათურა) სკოლა.

ამხანაგო ნიანგო! ყოველგვარი ბოსტნეულის დამუშავება გავგიგონია; ბევრი რამის დასილოსებაც შეიძლება, მაგრამ საბარგო ვაგონების დამუშავება თუ შეიძლებოდა, ეს კი აღარ გვეგონა.

შემოვლილი გვაქვს ვეებერთელა საბჭოთა კავშირი, მაგრამ არსად არ გვინახავს ვაგონების დამუშავება.

ჩვენ კი, (რიცხვით ათამდე) ვაგონი დავგამუშავეს სადგურ ორპირში, და ეს იმ დროს, როცა მარტო „მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით დევს 450.000 ვაგონი გადასატანი ტვირთი“. (იხილეთ ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება საბჭოთა მე-7 ყრილობაზე

პირდაპირ ბრაზი გვახრჩობს, მაგრამ რას გავხდებით. ვართ ჩიხში დამწყვდეული და ლიანდაგზე ვეებერთელა მორი გვიდევს, რომ ორთქმავალს არ მივებათ და არ ვავიპაროთ.

გვიშველეთ, ამხანაგო ნიანგო! ვაზონი

კოოპსავაქროების ზოგერთი გამგეები ხშირად პროდუქტების დაწაკლისს ვირთაგვებს აბრალებენ.

ზოგიერთ რაიონებში არის ასეთი შემთხვევები, როდესაც კრებები გათუნებამდე გრძელდება.

ნან. გ. ისაყვისა

კოოპს მართავდა ბარამი საესეს ძეხვით და კარაქით, შინ აცოცებდა საქონელს ოჯახს ავსებდა ბარაქით.

აღწერის დროს კი ბარამს რომ არ ასტეხოდა ვარამი,— საფრთხისგან გადასარჩენათ ხერხს მიმართავდა ბარამი.

რაც დანაკლისი აღმოჩნდა შექამეს ვირთაგვებმაო, კეტით ვდარაჯობ, არ გვშეგლის მათთან ომი და შებმაო!—

ასე ამბობდა ბარამი „ანგელოზური პოზითა“ ვირთხებზე ანგარიშობდა რაც შინ სურსათი მოზიდა.

მას ამ უბადლო საბუთით ვერვინ აკლებდა ვერასა და „დაკარგული საქონლის“ იწყებდა ჩამოწერასა.

ბედს უბადლოდა ბარამი. ქონის მატებას ელოდა, მას ვირთაგვების სახელი „სახრავში“ რადგან შველოდა.

ერთხელ იხილა სიზმარში: ვითომ აფრიკის შვილია, იქ მართავს კოოპერატივს და ბედით კმაყოფილია.

ხედავს ბედია ახალი რასაც მის გული ეძებდა, რას გამოჩნდება ვირთაგვა აფრიკის უზღვავე მხეცებთან?

ყურში ჩასძახის დედიკო: —ქაფე და ქაფე შვილოო.— აქ თავისუფლად ნაყარდობს ვეფხი, ლომი და სპილოო.— მათ დააბრალებ დაკარგულს, ვერ დაგაკლებენ ვერასო ვერც კი აუვა ვერავინ „ნაქაფის ჩამოწერასა“.

ტკბება სიზმარში ბარამი, სიამით უძგერს გულია და თავს გრძნობს, როგორც ქაფქაფა მორევში ორაგულია


მ. ზა

მას ჰგონია...

(ტფ. ტრამვაი)

ვატმანი გვყავს—გვარჯალაძე. (ძველი სისხლი ურევია) მას ჰგონია, რომ ვაგონი მ. მამისის ურემია- „მამის ურემს“ ხან ურემს და ხან ავტობუსს დააძგერებს, „ზემელთან“, რომ უბრძანებენ ვერის ხილზე გააჩერებს.

იპამ.



მ ო ლ ა მ ბ ე თ ა მ ჯ დ ო მ ა რ მ :

—ამ რიგად ვასრულებ ჩემს მოხსენებას თქვის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ. ამხანაგებო, უკვე გათენდა და მე იმედი მაქვს,—თქვენ დღესვე შეუდგებით ნაყოფიერ მუშაობას საკოლმეურნეო მინდვრებზე...

კოლმეურნეები:—ხრ!.. ხრ!.. ხრ!..

== ე რ ვ ა ==

„დაპირების დაკრება“.

ქ. ენუქიძე. რაიფინგანის გამგემ—გოცირიძემ. რომელსაც 6 თვეა 250 მასწავლებლისთვის არ მიუტია ჯამაგირი უკვე დაიწყო ფულის ნაცვლად დაპირების დარიგება, დამკვრელ მასწავლებლებს—რომელთაც სურვილი აქვთ ფულის ნაცვლად „მიიღონ“ დაპირება—შეუძლიათ ასეთი რიგის გარეშე. დაპირების თანახმად გოცირიძეს ჯამაგირების გაცემა ნავარაუდევია აქვს—თუ კიდევ ხელი არ შეუშალა პირადმა საქმეებმა მეორე ხუთწლეულის დამლევისათვის.

მ. შ.

მ ა დ ლ ო ბ ა

ხონი სარეწაო კოოპ. სავაჭროს ხელმძღვანელი სანდრო მატარაძე, რომელიც სპეკულიანტობისათვის პასუხისმგებელია მიცემული და გასამართლებული უნდა ყოფილიყო—მადლობას უცხადებს თავის ძმა-ბიჭებს, რომელთა წყალობით იგი დღესაც თავისუფლად დასე-

რობს. მატარაძის მადლობით ყველაზე უფრო გახარებულია სასამართლოს ბრალმდებელი. იანი.

დ ა კ ა რ ზ მ ა

სოფ. სოფში. (ონის რაიონი) დაიკარგა ადგ. საავადმყოფოს ექიმი. დაკარგული საშუალო ტანისაა, ახალგაზრდა შავგვრემანი; უყვარს ცხენზე ჯდომა:

უ—ძე.

ვირთაგვების ფონდი

ახალქალაქი. შემოწმებულ იქნა 11, 600 ცენტნერი სათესლე ხორბალი, რომლის სამი მეოთხედი აღმოჩნდა უვარგისი და გადაიორიქვა ვირთაგვების სათადარიგო ფონდში. აწყურელი.

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

ილემი. (ზესტ. რაიონი) დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა აბულაძემ გადაჭარბებით შეასრულა მ. იწაფეთა ცემა ტყვიისა და ყურის აგლეჯის დეკალური გეგმა.

მ. ილმელი

თავზარდაცემული და გაუბედურებული თავად-აზნაურობა, მემამულეები, ვაჭრები, სპეკულანტები, მექრთამეები, კომბინატორები, სრულიად საქართველოს სამღვდლოება, მთავრობის წევრთა ოჯახის წევრები და თანამოაზრე ნათესავები,

დამწუხრებული და ყურჩამოყრილი მეორე ინტერნაციონალი თავისი ჭრელფეროვანი და აჯაფხანდლური პარტიებით.

ქალბატონი ანტანტისა და სხვათა იმპერიალიზმის აგენტები,

სოფ. ხრიალეთის ეკლესიის დიაკვანი და

მსგავსთა ჩვენთა მრავალი სხვანი ვაუწყებთ, რომ 1935 წლის 25 თებერვალს გადახდილი იქნება



## პ ა ნ ა უ ვ ი ღ ი

1921 წელში 25 თებერვალს ხანმოკლე და სამი წლის ყოფნა-არყოფნის შემდეგ გარდაცვლილი საქართველოს მენშევიკური მთავრობისა.

დასწრება ყველა ემიგრანტებისათვის სავალდებულოა.

ქართველ ემიგრანტთა კომიტეტი.

## ნ ე კ რ ო ლ ო ბ ი

განსვენებული დაიბადა ამ სამი წლის წინად...

ის ჯერ კიდევ სამი წლის არ იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი მისი ისტორია სავსეა ომებითა და აჯანყებებით.

წარმოიდგინა რა თავი ბუმბერაზად მსგავსად დიდი სახელმწიფოების მთავრობებისა, იგი მუდამ ომის ფერხულში ჩაბმულია ისევე, როგორც ჩვენი ბრწყინვალე არისტოკრატია და კეთილშობილი საზოგადოება ცეკვის ფერხულში.

ხშირად გვსმენია განსვენებულისაგან:

— თუ არ ვიომეთ, ევროპას ვერ დაუმტკიცებთ, რომ ჩვენ გვაქვს არსებობის უნარი და შეგვწევს ძალ—ლონე სახელმწიფოს შესაქმნელად!

და მართლაც, მუდამ ომს აწარმოებდა მეზობლებთან.

აგერ კი, შინ მუშები და გლეხები თხოულობდენ:

— დაპირება შეგვისრულეთ. კმარა სიტყვები საქმე გვაჩვენეთ!

— სადა გვცალია მაგისათვის! ვერა ხედავთ განუწყვეტელი ომი გვაქვს მეზობლებთან!?

მაგრამ ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ისინი. ადგენ და 25 თებერვალს ბოლო მოუღეს მას.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო!

მართალია, წინად შენ საშიშარ არსებად გვყავდი წარმოდგენილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც შენ სათავეში ჩაუდექი სამშობლოს, თავს ისევე მშვენივრად ვგრძნობდით, როგორც სულცხონებული ნიკოლოზის დროს.

აქაც კი ბიჭი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა. თქვენი ისევ დაბრუნების, ვა, იმედი ვერ ადგესა.

ხელს აწერენ სამგლოვიარო განცხადებაში მოხსენებული პირები.

ტექსტის აღმომჩენი:

შიცხი



პირველ თებერვლიდან აკრძალულია კურდღლებზე ნადირობა.

ნახ. ღონის



მონადირეები: — არიქა! თავს ვუშველოთ! კურდღელი გამოჩნდა!

გ ო ლ ო რ ი

ქობახ. (სოფ. ეწერი, სამტრედიის რაიონი).  
სამკითხველოს გამგის შესახებ გვწერთ, რომ:

იგინება და ითვრება,  
უყვარს ჩხუბი და ზაური.

როცა მინდა მაშინ დავკეც,  
არ არისო უენი საქმე.

შეაქვს — კარგიაო...  
მაგრამ კარგია რაში?  
მას უურნალ-გაზეთები  
ხულ ეკარგება გზაში.  
მივედიო, ვნახეთ ჩვენი  
უწიგნო სამკითხველო,  
თუმცა მხეიძე გამგეს  
ქე გააქვს ქებით ღელო.

ეს ისეთი ადვილი გამოსაცნობი გამოცა-  
ნაა, რომ წაკითხვისთანავე ყველა მიხვდება,  
რომ ლაპარაკია ფილო ბაქრაძეზე და ზაქა-  
რია პაპაშვილზედაც... აი იმათზე, რომლებიც  
ხილბოსტნეულს იძენენ გლეხებისაგან და

რათქმა უნდა სავაჭროს გამგე ცდება რო-  
ცა ამბობს — „არ არისო უენი საქმე“. მისი სა-  
ქმე ის არის, რომ დაწესებულ საათებში ივა-  
ჭროს, მაგრამ ჩვენ კი გულახდილად გეტყვიო,  
რომ ლექსის წერა არ არის თქვენი საქმე.  
გვერწმუნეთ, რომ ასეთი ლექსით შეუძლებე-  
ლია „კულტურული ვაჭრობის“ უკულტურო  
მუშაყის გამოსწორება.

თუ გლენმა ფული მოსთხოვა  
ლანძღავენ და უყვირიან.  
ნეტა ვის ხარჯზე ქეიფობს  
ეს ჩვენი ორი ვმირია?

ბ. რ-ს. (ფოთი). შე კაი კაცო, თუ კი ასეთი  
ლექსის დაწერა სირცხვილად არ მიგაჩნია,  
რად გესირცხვება სახელისა და გვარის მო-  
წერა?

ნიანგმა ადგილობრივად გამოიკვლია ეს  
საქმე და დარწმუნდა თქვენი წერილის სიმ-  
ართლესი. სხვა რამეც გამოიკვია: როცა ად-  
გილობრივ სასოფლო საბჭოს თავჯდომარეს  
ლაპარაკი ჩამოუგდეს სამკითხველოს შესახებ,  
შან გაკვირვებით იკითხა: — როგორ! ჩვენს სო-  
ფელში სამკითხველო არის?

არც ამისი გამორკვევა არის ძნელი, და  
მით უმეტეს პროკურორისთვის.

მე ის მინდა, რომ ჩემს სატრფოს  
შამ თვალეში ჩავცქეროდე  
და ახალი ჩემი ლექსი,  
რომ თქვენს გოდორს აცდენოდეს.

ამის შემდეგ არც გასაკვირია, რომ თქვე-  
ნი სამკითხველო „სულს ღაფავდეს“.

აბულს (ტფილისი). რუსთაველის პროსპე-  
ქტზე ტ. ხ. ო. ქ-ის მე-165 მაღაზიის გამგის  
შესახებ გვწერთ რომ:

ერთხელ, როცა მაღაზია  
დაეკეტა გამგეს ადრე,  
და კალბახის ყიდვის მიზნით  
მას ახეთი კითხვა ვკადრე:  
რად დაკეტედ ახე ადრე?  
მითხრა — გამგეთ ვარო აქ მე,

სატრფოს რომ თვალეში ჩაცქეროდე ამი-  
სი საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს. ხო-  
ლო რაც შეეხება, რომ ეს ლექსი გოდორს  
აცდეს, ეს შეუძლებელია, რადგან ნიანგმა იცის  
ყველასათვის შესაფერისი ადგილის მიჩენა.

ეს რა ჩიტი მოფრენილა  
საიდან და სადაური?



გ. გ. გ.

# ფაშისკაშის სკოლა

- ეს რა სახის სკოლაა, რომ ბავარს ზრი ხელით?

- ვვარჯიშობ, რთმ ბეწვი, რომელზედაც ფიგურებიანი ჰქონდა, ერთი მოკნევით გადავზრა!